მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მიერ მიღწეული შედეგების შესახებ

2023 წლის ანგარიში

მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულება არის გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიდგომა, რომლის მიხედვითაც გარკვეული პროდუქციის მწარმოებლები და იმპორტიორები პასუხისმგებელნი არიან იმ ნარჩენების მართვაზე (შეგროვება, ტრანსპორტირება, გადამუშავება), რომლებიც წარმოიქმნება მათი პროდუქციის გამოყენების შემდეგ, მათ შორის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) დანერგვის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 25 მაისს მიღებული იქნა ოთხი ტექნიკური რეგლამენტი (ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ N327; საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ N325; ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ N326; ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ N324). მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ძალაშია 2022 წლის ივნისიდან.

ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად, მწარმოებელი (მათ შორის იმპორტიორი) ვალდებულია, უზრუნველყოს მათ მიერ საქართველოს ბაზარზე განთავსებული სპეციფიკური პროდუქტისგან (საბურავები, ზეთები, ბატარეები და აკუმულატორები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები) წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული წლიური მიზნობრივი მაჩვენებლების მიხედვით გარემოსდაცვითი მოთხოვნებით დამუშავება.

აღნიშნულ ვალდებულებას მწარმოებლები ასრულებენ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციების მეშვეობით.

მგვ-ის ორგანიზაცია ვალდებულია, ყოველი საანგარიშო წლის გასვლის შემდგომ, სამინისტროს შესაფასებლად წარუდგინოს შესრულებული საქმიანობის დეტალური წლიური ანგარიში მომდევნო წლის 30 აპრილამდე.

სამინისტრო ვალდებულია, ყოველი წლის 31 მაისამდე, სამინისტროს ვებგვერდზე გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში წინა წელს მგვ-ის მიღწეული შედეგების შესახებ.

ავტორიზებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციები

სამინისტროს მიერ ავტორიზებულია ოთხი მგვ-ის ორგანიზაცია:

- ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტი“
  შესაბამისობის კოლექტიური სქემა: ნარჩენი ზეთები, ნარჩენი საბურავები, ნარჩენი აკუმულატორები.

- ა(ა)იპ „ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაცია“
  შესაბამისობის კოლექტიური სქემა: ნარჩენი ზეთები, ნარჩენი საბურავები, ნარჩენი აკუმულატორები.

- ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“
  შესაბამისობის კოლექტიური სქემა: ნარჩენი ზეთები, ნარჩენი საბურავები, ნარჩენი ბატარეები და აკუმულატორები, ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები.

- ა(ა)იპ „ამბოლი ო2“

  შესაბამისობის ინდივიდუალური სქემა: ნარჩენი აკუმულატორები;
  (**შენიშვნა:** მგვ-ის ორგანიზაცია ა(ა)იპ „ამბოლი ო2“-მა ავტორიზაცია გაიარა 2023 წლის დეკემბრის თვეში, შესაბამისად ორგანიზაციის მიღწეული შედეგები ცნობილი იქნება 2025 წლის მაისში)

მგვ-ის ელექტრონულ რეესტრში დარეგისტრირებული მწარმოებლები

2023 წლის მდგომარეობით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ელექტრონულ რეესტრში რეგისტრირებულია 11 200-ზე მეტი მწარმოებელი/იმპორტიორი.

ელექტრო და ელ. მოწყობილობები
7 948

საბურავები
1 027

ბატარეები და აკუმულატორები
1 227

ზეთები
1 000

მიღწეული შედეგები

მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება დაიწყო 2023 წლიდან შესაბამისად, 2023 წლის განმავლობაში, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მიერ შეგროვდა:

- ნარჩენი საბურავები - 5 873 ტონა
- ნარჩენი ზეთები - 2 301 ტონა
- ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები - 2 340 ტონა
- ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები - 614 ტონა